შპს მზეკაბანი 2, რუსთავის საერო სკოლის განვითარების შვიდწლიანი (2017 – 2023) სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში.

სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ამოცანებისა და მიზნების განხორციელების შესაბამისად, სრულად არის შესრულებული.

კრიტიკული თვალსაზრისით გადაიხედა და საჭიროების შემთხვევაში დაკორექტირდა სკოლის დებულება, შინაგანაწესი, საქმისწარმოების წესი.

შეიცვალა და კანონთან შესაბამისობაში მოვიდა თანამშრომლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებები, რაც გამომდინარეობდა კანონმდებლობის ცვლილებებიდან.

შესაბამისი ცვლილებები განიცადა სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის დებულებამ (სადამრიგებლო, კათედრის და სხვ.)

შეიცვალა და დაიხვეწა მოსწავლეთა სკოლაში მიღების წესი და შესაბამისად მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებები.

განახლდა სამედიცინო დახმარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესები, აგრეთვე ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკის ბაზაზე შეიქმნა სახელმძღვანელოების ფონდი, რომელიც უფასოდ გადაეცემა მშობლებს და დახმარებას უწევს ოჯახებს, ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ სოციალურად დაუცველ ბავშვებს.

School MS - ელექტრონული ჟურნალების კომპანიების გაერთიანებამ, სკოლის სასწავლო პროცესების მართვისა და საინფორმაციო - საკომუნიკაციო სისტემის Edupage - ის დროებითი შეჩერება გამოიწვია, ამჟამად მიმდინარეობს მისი აღდგენა, რომელიც საშუალებას მოგვცემს უკეთ უზრუნველვყოთ სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ასევე მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სკოლის დირექციისა და პედაგოგიური კოლექტივის კომუნიკაცია და ინფორმირებულობა.

ბაზაზე შეიქმნა სკოლის ვებგვერდი, რომელიც განახლდება სისტემატურად, განვაახლეთ სკოლის Facebook და Instagram გვერდები.

სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეულის მონაწილეობით შეიქმნა და ყოველწლიურად იხვეწებოდა და ვითარდებოდა სასკოლო-სასწავლო გეგმა.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა გავწიეთ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების შესასწავლად და დასანერგად. სკოლა ჩართულია "ახალი სკოლის მოდელში" აქტიურად ვთანამშრომლობთ მათთან. ეს პროცესი სკოლაში დღესაც ინტენსიურად

გრძელდება.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 06 იანვრის N 41 დადგენილებასთან შესაბამისობაში მოვიდა სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული გარემო.

საანგარიშო პერიოდში მოხდა სკოლის სრული ინტერნეტიზაცია Wi-Fi ტექნოლოგიის მეშვეობით. შეიქმნა HotSpot-ის სისტემა, რომელიც სრულად მოიცავს სკოლის შენობას.

არაფორმალური განათლების კუთხით, სკოლაში შეიქმნა რამდენიმე კლუბი, მათ შორის: ჟურნალისტიკის, წიგნიერების, ეკო-კლუბი, ჭადრაკის და სხვა. სისტემატურად ვმეგობრობთ არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველი ახალგაზრდები ევროპისათვის" - მოხალისე მასწავლებლებთან, რომლებიც ინგლისურ და გერმანულ ენებზე უტარებენ მოსწავლეებს საკლუბო მეცადინეობებს. ხშირად ხდებოდა უკუკავშირი ამ თვალსაზრისით.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებულ იმ ღონისძიებებს, რომლებიც სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას ისახავდა მიზნად.

გაძლიერდა შიდა კონტროლი გაკვეთილების, შემაჯამებელი დავალებებისა და გამოცდების მიმდინარეობაზე. მუდმივად ხორციელდება სხვადასხვა ტიპის სასწავლო აქტივობა, როგორიცაა პრეზენტაციები, კონკურსები, სასწავლო მიზნობრივი ექსკურსიები, სპექტაკლებზე დასწრება-განხილვები, სკოლაში ცნობილი პიროვნებების მოწვევა მათი პროფესიების გაცნობის მიზნით და სხვ.

სკოლაში სისტემატურად ეწყობა მოსწავლეთა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე სკოლის თანამშრომელთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვები, რომელთა შემოსავალიც ხმარდება საქველმოქმედო მიზნებს. მოსწავლეები ხშირად სტუმრობენ ქალაქში არსებულ მოხუცთა თავშესაფარს „ქსენონს", უტარებენ კონცერტებს, ულოცავენ დაბადებისდღეებს.

სკოლის მოსწავლეები მეტ-ნაკლები წარმატებით მონაწილეობდნენ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში, გამონაკლისს წარმოადგენს გარკვეული წარმატებები „კინგსის" კონკურსებში.

სისტემატურად ხდება მოსწავლეთა პროგრესის შესწავლა, სადიაგნოსტიკო და რეიტინგული შეფასებები, მათი განხილვა კლასებისა და მშობელთა კრებებზე, ზოგჯერ ინდივიდუალურად, მშობლის გამოძახებით.

საანგარიშო პერიოდში 14-მდე მასწავლებელმა აიმაღლა სტატუსი და გახდა უფროსი და წამყვანი მასწავლებელი. პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, აქტიურად მიმდინარეობს ახალბედა მასწავლებლებთან მუშაობა, გვყავს მაძიებელი მასწავლებლები, რომელთაც ხელმძღვანელობენ ტუტორები.

პედაგოგთა პროფესიული განვითარების თვალსაზრისით სკოლა ეხმარება მასწავლებლებს სხვადასხვა ტრენინგებში, კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის მიღებაში.

საანგარიშო პერიოდში სკოლაში ფუნქციონირებდა საბავშვო ბაგა-ბაღი, რომელიც უკვე გაუქმებულია და ამჯერად მთელი შენობა ეკუთვნის სკოლას. ფართის გამოთავისუფლებამ მნიშვნელოვანი კომფორტი შეუქმნა სკოლის მოსწავლეებს, გაიხსნა ორი გახანგძლივებული დღის ჯგუფი, მოსწავლეთა მოსასვენებელი ოთახი, მოეწყო სკოლის სასადილო, ბავშვები იკვებებიან ცხელი კერძებით. გახანგძლივებულ ჯგუფებს ემსახურება სკოლის კუთვნილი ტრანსპორტი.

სკოლას გააჩნია როგორც სპორტის დარბაზი, ასევე ღია სპორტული მოედანიც, სადაც ხშირად იმართება შეჯიბრებები სხვა სკოლების მოსწავლეებთან ერთად.

საანგარიშო პერიოდში ყოველ წელს ტარდებოდა მიმდინარე რემონტი საჭირო უბნებზე. სკოლის შენობა კერძო საკუთრებაშია და ეზო-გარემოსთან ერთად მუდმივი ყურადღებისა და ზრუნვის გარემოცვაშია შესაძლებლობის ფარგლებში.

ხდებოდა სკოლის კომპიუტერული და სამომხმარებლო ტექნიკისა და ინვენტარის განახლება და შეძენა. რამდენჯერმე გადავახალისეთ როგორც თვალსაჩინოების ბაზა, ასევე შეძენილი იქნა ახალი სპორტული ინვენტარი.

სკოლაში გაძლიერდა უსაფრთხო გარემო, შემუშავებულია და დამტკიცებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ერთობლივი მუშაობის გეგმა, რომელიც გარკვეულ ღონისძიებებს ისახავს ამ მიმართებით.

სკოლაში მოსწავლეთა მოსვლისა და დატოვების პროცესს მონიტორინგს უწევს მათ უსაფრთხოებაზე ბრძანებით მიმაგრებული პირი, მორიგე მასწავლებლებთან ერთად.

სკოლის ფართი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით და ყველა საჭირო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმები.

განახლებულია და მოქმედებს სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის წესი. გვაქვს სამედიცინო კაბინეტი.

გაკვეთილებსა და დასვენებებზე მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობის უწყვეტი რეჟიმი. სკოლას ჰყავს კარისკაცი და დარაჯი.

სკოლა დიდ ძალისხმევას მიმართავს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩასართავად. მოქმედებს მშობელთა კომიტეტი. სისტემატურად ხდება მოსწავლეთა მშობლების/კანონიერ წარმომადგენლების ინფორმირება მოსწავლეების მოსწრების, დისციპლინის, ზოგადად სასწავლო პროცესის შესახებ. მშობლები მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებაში, ხშირად თავად არიან ინიციატორები. საანგარიშო პერიოდში ყოველი წლის ბოლოს ტარდება გაერთიანებული მშობელთა კონფერენცია, სადაც ხდება აღზრდის საკითხებთან დაკავშირებული აზრების ურთიერთშეჯერება.

მოსწავლეთა წახალისების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რამდენიმე ღონისძიება. დაწესდა და წლების განმავლობაში გაიცემოდა წარჩინებული მოსწავლეებისთვის განკუთვნილი დიპლომები და საჩუქრები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შპს მზეკაბანი 2, რუსთავის საერო სკოლაში შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის საკითხები განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოიკვეთა ახალი გამოწვევები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებლად მიგვაჩნია სამომავლოდ, კერძოდ:

სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

მოსწავლეთა და პროფესიონალ მასწავლებელთა მოზიდვა სკოლაში;

განხორციელებული და მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებები.

სკოლის დირექტორი: ბ.გოცირიძე